პროექტი

საქართველოს მთავრობის
განკარგულება № ---
2019 წლის --- აპრილი
ქ. თბილისი

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიასთან“ დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ და „ჰ[3]“ ქვეპუნქტების საფუძველზე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, 2019 წლის 15 მაისიდან წყდება 2010 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება:

ა) შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ (შემდგომში - კომპანია) გათავისუფლდეს, 2011-2019 წლებში, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების საფუძველზე, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას დაქვემდებარებული 9 036 031 (ცხრა მილიონ ოცდათექვსმეტი ათას ოცდათერთმეტი) ლარის დაბრუნების ვალდებულებისგან;

ბ) 2019 წლის 15 მაისამდე დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მისთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში არაუმეტეს 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარის მოძიება და კომპანიისათვის ეტაპობრივად გადარიცხვა სუბსიდიის სახით, კრედიტორული დავალიანებების დასაფარად;

გ) დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ამ განკარგულების „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების გადარიცხვის პროცედურების განსახორციელებლად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, 65-ე, 66-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად, უზრუნველყოს კომპანიასთან თანხების გადარიცხვის შესახებ ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება;

დ) დაევალოს კომპანიას, უზრუნველყოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდება ამ განკარგულების „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადარიცხული თანხის ხარჯვის შესახებ ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად;

ე) დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, 2019 წლის 15 მაისამდე, უზრუნველყოს კომპანიასთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ინვენტარიზაცია, შესრულებული სამუშაოების დადასტურება და მოქმედი ხელშეკრულებების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმებით, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ვ) დაევალოთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტების საჭიროებების თაობაზე მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, კომპანიის მიერ მის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების შესაძლო განკარგვის კუთხით შემდგომი მსჯელობა;

ზ) ეთხოვოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ა(ა)იპ „რუხის მრავალპროფილიანი

საუნივერსიტეტო კლინიკას“ შემჭიდროვებულ ვადებში უზრუნველყონ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მშენებარე მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის შენობის მიღება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

განმარტებითი ბარათი

„შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიასთან“ დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის შესახებ

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიასთან“ დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის (შემდგომში - განკარგულების პროექტი) მიღება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საგზაო ტექნიკის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადიება „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №978 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში, მისი უფლებამონაცვლე, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო) და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის 2010 წლის 5 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება) შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ხაზგასასმელია, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა მართავს სახელმწიფო ქონებას, ხოლო „ჰ[3]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის კომპეტენციები განსაზღვრულია კონსტიტუციით, ამ კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით. აღნიშნულთა შორის, მნიშვნელოვანია, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, წილებისა და აქციების მართვის უფლებით გადაცემა ხორციელდება აუქციონის ფორმით ან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტამდე ზემოაღნიშნული უფლებამოსილება ეკუთვნოდა საქართველოს პრეზიდენტს და სწორედ აღნიშნული ორგანოს მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ. ამდენად, როდესაც საკითხი ეხება ამავე მართვის უფლებით გადმოცემის საკითხის შეწყვეტას, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს მთავრობა წარმოადგენს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, უფლებამოსილია, დაადგინოს გარკვეული ვალდებულებები.

ნიშანდობლივია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის საჭიროება დღის წესრიგში დადგა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №50 დადგენილება, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ პრევენციული მექანიმზს, რომელიც მეტ-ნაკლებად შეამცირებს სტიქიის რისკებს ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელ ზიანს. ამასთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდეგში - დეპარტამენტი) „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოეყო შესაბამისი საბიუჯეტო სახსრები რომელსაც მიმართავს აღნიშნული მიმართულებით. გასათვალისწინებელია, რომ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ (შემდგომში -

კომპანია) საქმიანობის ძირითად პროფილს წარმოადგენდა სწორედ ქვეყნის მასშტაბით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული პროექტების განხორციელების პროცესში, კომპანიას უწევდა თავის მხრივ კონტრაქტორების დაქირავება, რაც ასევე იწვევდა პროექტების ღირებულებების ზრდას. ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით მიზნაშეწონილია განხორციელდეს ხელშეკრულების შეწყვეტა 2019 წლის 1 მაისიდან.

2019 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, კომპანიას ერიცხება მიმდინარე კრედიტორული დავალიანება 7.370.517.64 ლარის ოდენობით, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე (2019 წლის 1 მაისი) გაიზრდება, სავარაუდოდ, 4.367.662.11 ლარით და ჯამში, იქნება, სავარაუდოდ, 11.738.179.75 ლარი, კერძოდ:

მიმდინარე ვალდებულებები	მიმდინარე	მოსალოდნელი	მოსალოდნელი ჯამური
კრედიტორული დავალიანება მომწოდებლებთან	4,591,086.85	2,403,000.00	6,994,086.85
მიღებული ავანსები	2,140,373.40		2,140,373.40
გასაცემი ხელფასები - პროექტებზე	318,750.00	139,247.31	457,997.31
მიღებული ავანსის დღგ	35,857.33		35,857.33
ადმინისტრაციის ხელფასი		695,508.80	695,508.80
საოფისე ხარჯები		66,906.00	66,906.00
მომწოდებლის დაუდასტურებელი ა/ფ	284,450.06		284,450.06
სამხარაულის საფუძველზე შესაძლო დასაბრუნებელი		740,000.00	740,000.00
სხვა კრედიტორული დავლიანება		323,000.00	323,000.00
სულ მიმდინარე კრედიტორული დავალიანება	7,370,517.64	**4,367,662.11**	11,738,179.75

ზემოაღნიშნული კრედიტორული დავალიანების გადახდის რესურსი კომპანიას არ გააჩნია. ამდენად, მიზანშეწონილია, 2019 წლის 1 მაისამდე დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მისთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში არაუმეტეს 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარის მოძიება და კომპანიისათვის ეტაპობრივად გადარიცხვა, სუბსიდირების სახით, ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებული კრედიტორული დავალიანებების დასაფარად.

ინფორმაციისათვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2019 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, კომპანიას ერიცხება მიმდინარე ლიკვიდური აქტივები 6.000.654 ლარის ოდენობით (არ მოიცავს 7.333.458 ლარის საეჭვო და უიმედო დებიტორულ დავალიანებებს), რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაიზრდება, სავარაუდოდ, 562.009 ლარით. კომპანიისთვის აღნიშნული მიმდინარე აქტივები ფულად რესურსად გადაქცევა განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების შეწყვეტამდე ან შემდგომ პერიოდში. მიმდინარე ლიკვიდური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიმდინარე ლიკვიდური აქტივები	სტანდარტული	მოსალოდნელი	მოსალოდნელი ჯამი
დებიტორული დავალიანება	2,735,084	580,000	3,315,084
გაცემული ავანსები	668,479	-144,433	524,046
საბანკო გარანტიის უზრუნველყოფა Cash Covery	1,494,737	-15,382	1,479,355
თანხა საბანკო ანგარიშზე (ლარი)	11,804	159,815	171,619
მისაღები კაპიტალური ხარჯებისთვის (რუხი)	764,058		764,058
გაცემული ავანსის დღგ	326,492	-17,991	308,501
სხვა ლიკვიდური აქტივი			0
სულ მიმდინარე ლიკვიდური აქტივები	**6,000,654**	**562,009**	**6,562,663**

ხაზგასასმელია, რომ კომპანია 2011-2019 წლებში, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების საფუძველზე, სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებდა/ახორციელებს. ამდენად, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების შედეგად, კომპანიისათვის ჯამში გამოყოფილ იქნა 124.587.480.00 ლარი, შესაბამისად, აღნიშნული თანხით განხორციელდა კომპანიის კაპიტალის გაზრდა. მიზნობრივად გამოყოფილი თანხებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას ექვემდებარება ჯამში, 12.682.185 ლარი, კერძოდ:

№	დოკუმენტის დასახელება	დოკუმენტის თარიღი	დოკუმენტის ნომერი	ბალანსი დამკვეთან
			ჯამი	-12,682,185
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	14.07.2016	1408	63,056
2	შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ	28-07-15	1639	34,384
3	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	29-12-2011	2600	18,015
4	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	26-04-13	371	-76,830
5	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	23-06-15	1343	-81,605
6	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	12-06-12	1114	-96,095
7	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	25-06-15	1357	-104,011
8	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	27-07-12	1453	-126,660
9	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	12-06-12	1114	-136,218

10	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	27-07-12	1453	-184,881
11	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ (#1818,01.10.14) და "შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" (#1416, 03.07.15)	01.10.2014 და 03.07.2015	1818 და 1416	-196,908
12	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	27-07-12	1453	-235,409
13	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	27-07-12	1453	-246,773
14	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	12-06-12	1114	-290,038
15	შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ	24-11-15	2534	-317,681
16	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	27-07-12	1453	-331,409
17	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	12-06-12	1114	-356,593
18	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	27-07-12	1453	-384,201
19	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	12-06-12	1114	-439,988
20	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	27-07-12	1453	-817,889
21	შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ (#1773, 25.08.15), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ (#1225, 15.06.17), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ (#2502, 39.11.17)	25.08.15; 15.06.17 და 30.11.17	1773, 1225 და 2502	-8,374,451

აღნიშნული თანხიდან - 12,682,185 ლარიდან, კომპანიის მიერ ვერ ბრუნდება 9 036 031 (ცხრა მილიონ ოცდათექვსმეტი ათას ოცდათერთმეტი) ლარი, რადგან გადახდის რესურსი კომპანიას არ გააჩნია. შესაბამისად, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც კომპანია გათავისუფლდება 2011-2019 წლებში, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების საფუძველზე, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას დაქვემდებარებული 9 036 031 (ცხრა მილიონ ოცდათექვსმეტი ათას ოცდათერთმეტი) ლარის დაბრუნების ვალდებულებისგან. რაც შეეხება 3,646,153 ლარს, აღნიშნულის თაობაზე მსჯელობა განხორციელდა 2014 წლის 9 ოქტომბერის საქართველოს მთავრობის სხდომაზე (იხ. ოქმი №33). სხდომის ოქმში მითითებული გარემოების შესახებ კომპანიას აქვს მიმდინარე სასამართლო დავა, შესაბამისად, აღნიშნული რესურსის სამართლებრივი მდგომარეობა ამ ეტაპისათვის გადაწყვეტილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ კომპანიამ დეპარტამენტის დაკვეთით 2011-2019 წლებში განახორციელა სხვადასხვა საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, ასევე, სახელმწიფო მნიშვნელობის სხვადასხვა პროექტი, რომელთა განხორციელების მიზნით კომპანიამ ნაწილობრივ გამოიყენა საკუთარი ფინანსური სახსრები 5,302,634 ლარის ოდენობით, კერძოდ:

№	ხელშეკრულების საგანი	შემსყიდველი	ხელშეკრულების თარიღი	პროექტის ბალანსი დამკვეთან
	ჯამი			**-5,302,634**
1	ყვარელში ცენტრალური გზების რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს ,,ნიუ ენერჯი"	28-05-12	-2,724,298
2	შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-146) სტეფანწმინდა-სამების ეკლესიის საავტომობილო გზის კმ1-კმ5.661 რეკონსტრუქცია-მშენებლობის სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	05-05-17	-380,770
3	შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდიდის ს/გზის კმ113-კმ125 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	31-10-17	-368,723
4	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის კმ 126-კმ141 მონაკვეთზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ცალკეული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	07-02-18	-249,820
5	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-153) ნიჩბისი-დიდგორი-დიდი	შპს ,,ჯეუ გრუპი"	23-01-18	-221,428

	თონეთის საავტომობილო გზის კმ 14.170 - კმ 20.170 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების			
6	ს/მ მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ134 სტიქიის შედეგების აღმოფხვრა	საგზაო დეპარტამენტი	27-05-14	-194,878
7	საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა–სტეფანწმინდა–ლარსის საავტომობილო გზის კმ65-კმ66 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	12-04-18	-165,163
8	საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (გალერეის ჩათვლით) საავტომობილო გზის კმ94-კმ95 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	29-07-13	-155,923
9	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აჩხოთი - სნო - ახალციხე - ჯუთას ს/გზის (შ-147) კარკუჩა-ჯუთას მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია კმ 7+520-დან კმ15+230-მდე	საგზაო დეპარტამენტი	11-12-17	-141,855
10	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის 115-ე და 118-ე კმ-ებზე დაზიანებული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	21-02-18	-119,951
11	შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-ნატანები-ურეკის ს/გზის კმ9-კმ15 მონაკვეთის (სავარაუდო სიგრძით 6 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და მის შესაბამისად სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	13-04-17	-99,712
12	საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გ	საგზაო დეპარტამენტი	06-09-11	-71,446

	კმ132-კმ135+100 მონაკვეთის რეაბილიტაცია			
13	შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-ნატანები-ურეკის ს/გზის კმ15-კმ16 მონაკვეთის (სავარაუდო სიგრძით 1.7 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და მის შესაბამისად სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	13-07-17	-59,915
14	შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-ნატანები-ურეკის ს/გზის კმ9-კმ16 მონაკვეთის დამატებით სარეაბილიტაციო სამუშაოებისატვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და მის შესაბამისად სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	06-12-17	-58,443
15	შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბაღდათი-ვანი-დაფნარის ს/გზის 42-ე კილომეტრიდან ადგილობრივი მნიშვნელობის ნიკურაძეების უბანის მიმართულებით მიმავალი დაახლოებით 2 კილომეტრიანი და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბაღდათი-ვანი-დაფნარის ს/გ 43-ე კილომეტრიდან ა/მ გომნატეხების მიმართულებით მიმავალი დაახლოებით 1,2 კმ ს/გ მონაკვეთებისათვის საჭირო საპროექტო დოკ.შედგენა და სარეაბილიტაციო სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	26-06-17	-56,715
16	ადგილობრივი მნიშვნელობის მესტიის ცენტრი-აეროპორტი-წრნიაშის საავტომობილო გზის კმ 1+000 - კმ 4+000 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	05-08-16	-50,631
17	ს/მ მცხთა–სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის კმ136–ე კმ-ზე საბაჟო გამშვები პუნქტის ,,ყაზბეგის"	საგზაო დეპარტამენტი	24-06-15	-41,170

	მიმდებარედ მოსალოდნელი სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების პრევენციის მიზნით, ,,საევაკუაციო ნაგებობების" მოწყობის სამუშაოები			
18	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-ბაწარას ნაკრძალის საავტომობილო გზის კმ15-კმ19 (ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლები - დუისი და ჯოყოლა) მონაკვეტზე ყწლის აცილების მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	05-08-16	-35,923
19	ქ. ქობულეთის ნაპირდაცვისა და სანაპირო ზოლის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები	მუნიციპალური განვითარების ფონდი	28-05-18	-33,697
20	ადგილობრივი მნიშვნელობის მესტიის ცენტრი-აეროპორტი-წრნიაშის საავტომობილო გზის პირველი კილომეტრის, დაახლოებით 800 მეტრიანი სიგრძის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	11-05-18	-26,143
21	ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ყაზბეგის, რუსთაველის ქუჩის ნაწილისა და ფიროსმანის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები	ქ.თბილისის მერია	19-02-18	-20,160
22	მესტიის მუნიციპალიტეტში თეთნულდის სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება	შპს ,,თეთნულდი დეველოპმენტი"	22-04-14	-9,327
23	მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე თეთნულდის სათხილამურო კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის დაზიანებული ცალკეული მონაკვეთების აღდენის სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	21-09-16	-5,932
24	ქ.წყალტუბოს სტადიონის რეკონსტრუქციის I ეტაპის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	28-11-14	-5,235

25	თეთნულდში ზვავ-დამცავი მიწაყრილის მოწყობის სამშენელო სამუშოები	შპს ,,თეთნულდი დეველოპმენტი"	29-08-16	-2,938
26	შ/სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-7) ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდიდის ს/გზის მე-100 კმ-ში დაზიანებული მიწის ვაკისის ჩაწყვეტის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	15-07-15	-2,389
27	ადლიის სანაპირო ზოლზე (აეროპორტთან) ნაპირსამაგრი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები	აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	26-02-14	-48

ზემოაღნიშნული პროექტების ფარგლებში კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ (ფორმა №2, დღგ-ს ჩათვლით) შეადგინა 87,913,698 ლარი (რაც 5,751,831 ლარით ნაკლებია პროექტების ჯამურ პირდაპირ ხარჯებზე, დღგ-ს გარეშე), ხოლო დამკვეთების მიერ ჯამში გადახდილია 82,611,063 ლარი (-5,302,634 ლარით ნაკლები). მათ შორის, დეპარტამენტთან დაკავშირებულ პროექტების შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ (ფორმა №2, დღგ-ს ჩათვლით) შეადგინა 51,570,684 ლარი (მთლიან ჩამში 59%-მდე. რაც 3,308,744 ლარით ნაკლებია პროექტების ჯამურ პირდაპირ ხარჯებზე, დღგ-ს გარეშე), ხოლო დამკვეთის მიერ ჯამში გადახდილია 49,285,182 ლარი (-2,285,502 ლარით ნაკლები, რაც ჯამური სხვაობის 43%-ია).

ზოგადად კომპანიის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშოების ღირებულებასა და დამკვეთის მიერ ანაზღაურებულ/ასანაზღაურებელ ღირებულებას შორის სხვაობა (ნაკლებობით) გამოწვეულია იმ გარემოებათა გამო, რომ კომპანიასა და დამკვეთ სუბიექტებს შორის ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებიდან უმრავლესობა (მინ. 55%) გაფორმდა „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესაბამისად, მათზე ვრცელდებოდა „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესი და „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამანტი „სამშენებლო სამუშოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის შესახებ“, რომელთა თანახმადაც, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ღირებულება განსაზღვრული იყო ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. დამკვეთის მხრიდან ანაზღაურებას ექვემდებარებოდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ნაკლები იყო ვიდრე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

გასათვალისწინებელია, რომ კომპანიასა და დამკვეთ სუბიექტებს შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 631-ე და 398-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით არ განხორციელდა სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდა და მისი მისადაგება შეცვლილი გარემოებისადმი, ხოლო კომპანიამ არ შეწყვიტა ხელშეკრულება და გააგრძელა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის თანახმად, კი „ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს

ხელშეკრულებით გათვალიწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური“. იმის გათვალისწინებით, რომ დამკვეთ სუბიექტებსა და კომპანიიას შორის შეთანხმება სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდაზე არ/ვერ გაფორმდა, ხოლო კომპანიამ არ/ვერ ისარგებლა სამოქალაქო კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით და არ შეწყვიტა ხელშეკრულება და გააგრძელა სამუშოები, ანაზღაურებას დაექვემდებარა კომპანიის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშოების ღირებულება სახელშეკრულებო ღირებულების გათვალისწინებით.

შპს ,,თეთნულდი დეველოპმენტის" (-3.281 მლნ.), დეპარტამენტის (-9.548 მლნ.), სსიპ -საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (-0.331 მლნ.), სხვადასხვა მუნიციპალიტეტების (-1.420 მლნ.) (არაკერძო სუბიექტების) დაკვეთით კომპანიამ საანგარიშო პერიოდში 2019 წლის 1 თებერვალის მდგომარეობით 22 პროექტი განახორციელა საოპერაციო ზარალით (რომელიც გამოითვლება: შემოსავალს ფორმა #2-ით (დღგ-ს გარეშე) გამოკლებული პირდაპირი საოპერაციო ფაქტიური/საკასო ხარჯები (რომელშიც არ შედის: დღგ, არაპირდაპირი/ზედნადები ხარჯები, ცვეთა და % ხარჯები), რომელიც შეადგინა -14,581,543.92 ლარი, ხოლო საოპერაციო მოგებით განხორციელდა 37 პროექტი და საოპერაციო მოგებამ (დაანგარიშებული იგივე მეთოდით) შეადგინა 9,582,040.16 ლარი. ჯამური მინიმალური საოპერაციო ზარალი შეადგინა 4,999,503.76 ლარი. -14,581,543.92 ლარის საოპერაციო ზარალით განხორციელებული 22 პროექტები არის შემდეგი (შენიშვნა: წინამდებარე მონაცემები შესაძლებელია შეიცვალოს/დაკორექტირდეს მიმდინარე, დაუსრულებელ და ჩაუბარებელ პროექტებისთვის):

#	ხელშეკრულების საგანი	შემსყიდველი	ხელშეკრულების თარიღი	საოპერაციო ზარალი
	ჯამი			-14,581,543.92
1	მესტიის მუნიციპალიტეტში თეთნულდის სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება	შპს ,,თეთნულდი დეველოპმენტი"	22-Apr-14	-3,281,633.40
2	ს/მ მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ117+121 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	6-Aug-14	-3,227,774.81
3	შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-146) სტეფანწმინდა-სამების ეკლესიის საავტომობილო გზის კმ1-კმ5.661 რეკონსტრუქცია-მშენებლობის სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	5-May-17	-1,168,335.50
4	ს/მ მცხთა–სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის კმ136–ე კმ-ზე საბაჟო გამშვები პუნქტის ,,ყაზბეგის" მიმდებარედ მოსალოდნელი სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების პრევენციის მიზნით, ,,საევაკუაციო ნაგებობების" მოწყობის სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	24-Jun-15	-1,036,968.19
5	ქ.თბილისის მაშტაბით არსებული გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	ქ.თბილისის მერია	15-Feb-16	-771,253.23
6	ს/მ მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ134 სტიქიის შედეგების აღმოფხვრა	საგზაო დეპარტამენტი	27-May-14	-595,474.81

7	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი - ჯვარი - მესტია - ლასდილის საავტომობილო გზის კმ165 - კმ177 (საპროექტო მონაკვეთის პკ 220+00 - პკ 350+00) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	15-Dec-17	-569,075.17
8	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-ბაწარას ნაკრძალის საავტომობილო გზის კმ15-კმ19 (ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლები - დუისი და ჯოყოლა) მონაკვეტზე ყწლის აცილების მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	5-Aug-16	-493,738.31
9	ს/მნიშვნელობის მცხთა–სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ106+180 – კმ106+880; კმ107+180 – კმ110+850 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	6-May-14	-464,047.03
10	ქ.წყალტუბოს სტადიონის რეკონსტრუქციის I ეტაპის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	28-Nov-14	-438,621.69
11	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის კმ 126-კმ141 მონაკვეთზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ცალკეული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	7-Feb-18	-433,750.79
12	ადგილობრივი მნიშვნელობის მესტიის ცენტრი-აეროპორტი-წრნიაშის საავტომობილო გზის კმ 1+000 - კმ 4+000 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	5-Aug-16	-424,799.42
13	შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-ნატანები-ურეკის ს/გზის კმ9-კმ16 მონაკვეთის დამატებით სარეაბილიტაციო სამუშაოებისატვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და მის შესაბამისად სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	6-Dec-17	-355,187.72

14	შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბაღდათი-ვანი-დაფნარის ს/გზის 42-ე კილომეტრიდან ადგილობრივი მნიშვნელობის ნიკურაძეების უბანის მიმართულებით მიმავალი დაახლოებით 2 კილომეტრიანი და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბაღდათი-ვანი-დაფნარის ს/გ 43-ე კილომეტრიდან ა/მ გომნატეხების მიმართულებით მიმავალი დაახლოებით 1,2 კმ ს/გ მონაკვეთებისათვის საჭირო საპროექტო დოკ.შედგენა და სარეაბილიტაციო სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	26-Jun-17	-319,303.77
15	ქ.ქობულეთის ნაპირდაცვისა და სანაპირო ზოლის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები	მუნიციპალური განვითარების ფონდი	28-May-18	-307,982.11
16	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის 115-ე და 118-ე კმ-ებზე დაზიანებული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	21-Feb-18	-215,833.72
17	ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	ქ.თბილისის მერია	17-Jun-16	-206,004.54
18	საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ22-კმ34.3 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	22-Aug-13	-154,047.92
19	მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე თეთნულდის სათხილამურო კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის დაზიანებული ცალკეული მონაკვეთების აღდენის სამუშაოები	საგზაო დეპარტამენტი	21-Sep-16	-59,123.75
20	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის კმ6.5-კმ11.5 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება	საგზაო დეპარტამენტი	11-Sep-12	-30,716.62
21	შსს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის #3 სამმართველოს (წითელი ხიდი) 4 სექტორში (სოფლები: ვახტანგისი, ახკერპი, ბურდაზორი და ლოქჯანდარი) შენობა–ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები	მუნიციპალური განვითარების ფონდი	13-Dec-13	-23,178.56

22	ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ყაზბეგის, რუსთაველის ქუჩის ნაწილისა და ფიროსმანის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები	ქ.თბილისის მერია	19-Feb-18	-4,692.87

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მოცემულ ფაქტიურ მდგომარეობაში, კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს სამეურნეო/საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილებები (მათ შორის, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის თვალსაზრისით), რომლის შესაძლებლობაც აქვს კერძო სექტორის წარმომადგენელ სუბიექტებს. აღნიშნული კი უარყოფითად მოქმედებს შესაძლო შედეგებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, კომპანია განთავისუფლდეს 9,036,031 ლარის ბიუჯეტში დაბრუნების ვალდებულებისგან.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს დავალებას, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები იმსჯელებენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციის საფუძველზე, კომპანიის მიერ მის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების შესაძლო განკარგვის კუთხით.

ასევე, განკარგულების პროექტის შესაბამისად, დეპარტამენტი უზრუნველყოფს კომპანიასთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ინვენტარიზაციას, შესრულებული სამუშაოების დადასტურებას და მოქმედი ხელშეკრულებების შეწყვეტას ურთიერთშეთანხმებით, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. კერძოდ,:

1. კომპანია უზრუნველყოფს დეპარტამენტის მიერ ავანსის სახით გაცემული და ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის აღუდგენელი ავანსის თანხის სრულად დაბრუნებას სახელმწიფო ბიუჯეტში;

2. დეპარტამენტთან გაფორმებული იმ ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებშიც დაკავებულია ხარისხის დაცვის უზრუნველყოფისათვის თანხები (5%) (შემდგომში - ხარისხის თანხა) და სამუშაოები არ არის დასრულებული, ხელშეკრულებების შეწყვეტის დროისათვის, შესრულებული სამუშაოების კომისიურად დადასტურებისა და ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი აქტის საფუძველზე, კომპანიას აუნაზღაურდება ხარისხის თანხიდან 2.5%. დარჩენილი 2.5% კომპანიას არ უბრუნდება. იმ შემთხვევაში თუ კომისიური წესით სამუშაოების ინვენტარიზაციისას დაფიქსირდება ხარვეზი, კომპანიას არ უნაზღაურდება დაკავებული ხარისხის თანხა. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, მათ აღმოფხვრას უზრუნველყოფს დეპარტამენტი დაკავებული ხარისხის თანხიდან, ხოლო თუ აღნიშნული თანხა არ არის საკმარისი, დეპარტამენტი ხარვეზების აღმოფხვრას უზრუნველყოფს მისთვის გამოყოფილი შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში;

3. დეპარტამენტთან გაფორმებული იმ ხელშეკრულებების ფარგლებში, სადაც სამუშაოები დასრულებულია და დაკავებულია ხარისხის თანხები, ხელშეკრულებების შეწყვეტის დროისათვის ხარისხის თანხიდან მისაღები თანხა კომპანიას აუნაზღაურდეს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის მიღებულია სამუშაოები შესაბამისი წესით ან/და გასულია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საგარანტიო ვადები და სამუშაოებზე არ არის დაფიქსირებული ხარვეზ(ებ)ი. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მიღება ვერ განხორციელდა ხარვეზების არსებობის გამო, ან ხელშეკრულებების შეწყვეტის დროისათვის გასულია საგარანტიო ვადა და სამუშაოებზე ფიქსირდება ხარვეზები, კომპანიას არ უნაზღაურდება დაკავებული ხარისხის თანხა. ხარვეზ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, მათ აღმოფხვრას უზრუნველყოფს დეპარტამენტი, ხარისხის თანხიდან, ხოლო თუ აღნიშნული თანხა არ არის საკმარისი, დეპარტამენტი ხარვეზების აღმოფხვრას უზრუნველყოფს მისთვის გამოყოფილი შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში;

4. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების დადასტურება ვერ ხერხდება ობიექტური მიზეზების გამო (კლიმატური პირობები, სტიქია და სხვა), კომპანიას არ აუნაზღაურდება დაკავებული ხარისხის თანხები.

ნიშანდობლივია, რომ დეპარტამენტსა და კომპანიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე არსებობს შემდეგი მდგომარეობა:

1. სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით სავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოები: შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აჩხოტი-სნო-ახალციხე-ჯუთა საავტომობილო გზის (შ-147) კარკუჩა-ჯუთას მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის კმ 7+520-კმ15+230-მდე სამუშაოების განხორციელება - **მიმდინარე**.

ხელშეკრულება №ე.ტ. 86-17 (11.12.2017წ) (DAP170000162)

შესრულებულია 2 543 409.54 ლარის სამუშაოები, ასათვისებელია 491 467.46 ლარი.

დაკავებულია ხარისხის უზრუნველყოფის თანხა 5% - 127 170.48 ლარი.

სამუშაოს მიწოდების ვადები: 11.12.2017წ – 30.06.2019წ.

2. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ165-კმ177 (საპროექტო მონაკვეთი პკ-220+00-პკ 350+00) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - **მიმდინარე**.

ხელშეკრულების №ე.ტ. 89-17 (15.12.2017წ.) (DAP170000180)

შესრულებულია 6 058 740.12 ლარის სამუშაოები, ასათვისებელია 8 695 470.0 ლარი. აღსადგენი ავანსი - 1 678 520 ლარი. დაკავებულია ხარისხის თანხა 5% - 302 937.01 ლარი.

სამუშაოს მიწოდების ვადები: 15.12.2017წ – 05.12.2019წ.

3. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის სავტომობილო გზის კმ113-კმ125 მონაკვეთის რეაბილიტაცია - **მიმდინარე**.

ხელშეკრულება №ე.ტ. 74-17 (31.10.2017წ.) (DAP170000147).

შესრულებულია 7 087 819.09 ლარის სამუშაოები, ასათვისებელია 3 194 544.0 ლარი.

დაკავებულია ხარისხის თანხა 5% - 354 390.95 ლარი.

სამუშაოს მიწოდების ვადები: 31.10.2017წ – 31.05.2019წ

4. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი(ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ126-კმ141 მონაკვეთზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ცალკეული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოები - **მიმდინარე**.

ხელშეკრულება №შ.რ. 2-18 (07.02.2018წ.) (CMR180054375)

შესრულებულია 3 297 221.83 ლარის სამუშაოები, ასათვისებელია 251 902.5 ლარი.

დაკავებულია ხარისხის თანხა 5% - 164861.09 ლარი.

სამუშაოს მიწოდების ვადები: 07.02.2018წ – 30.04.2019წ.

5. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა-სამების ეკლესიის საავტომობილო გზის კმ1-კმ5.661 რეკონსტრუქცია-მშენებლობის სამუშაოები - **დასრულებული**.

ხელშეკრულება №ე.ტ. 28-17 (05.05.2017წ.) (NAT170002785)

შესრულებულია 7 615 392.56 ლარის სამუშაოები, სამუშაობის მიღება არ მომხდარა, სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 5% - 380 769.62 ლარი, რომელიც არ არის ანაზღაურებული.

სამუშაოს მიწოდების ვადები: 05.05.2017წ – 30.11.2018წ.

6. საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა–სტეფანწმინდა–ლარსის საავტომობილო გზის კმ65-კმ66 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - **დასრულებული**.

ხელშეკრულება ე.ტ.N50-18 12.04.2017წ. (DAP180000023).

შესრულებულია 3 303 263.94 ლარის სამუშაოები, სამუშაობი მიღებულია, სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 5% - 165 163.20 ლარი, რომელიც არ არის ანაზღაურებული.

სამუშაოს მიწოდების ვადები: 12.04.2018წ –20.12.2018 წ.

სამუშაოების მიღების თარიღი და გარანტიის ვადა: 25.03.2019წ. – 25.03.2021წ.

7. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი(ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ115-ე და 118-ე კმ-ებზე დაზიანებული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოები - **დასრულებულია**.

ხელშეკრულება №შ. რ. 3-18 (21.02.2018წ.) (CMR180061174)

შესრულებულია 2 399 013.74 ლარის სამუშაოები.

სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 5% - 119 950.69 ლარი, რომელიც არ არის ანაზღაურებული.

სამუშაოს მიწოდების ვადები: 21.02.2018 წ –30.11.2018 წ.

სამუშაოების მიღების თარიღი და საგარანტიო ვადა: მიღებულია კომიისიის მიერ მიმდინარეობს მირება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

8. ადგილობრივი მნიშვნელობის მესტიის ცენტრი–აეროპორტი–წრნიაშის საავტომობილო გზის პირველი კილომეტრის დაახლოებით 800 მეტრი სიგრძის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - **დასრულებულია**.

ხელშეკრულება №ადგ.რ. 1-18 (11.05.2018წ.) (CMR180102316).

შესრულებულია 522 854.95 ლარის სამუშაოები, სამუშაობის მიღება არ მომხდარა ხარვეზების გამო. სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 5% - 26 142.75 ლარი. ხარვეზების გამოსწორების ვადა იყო 15.02.2019წ, მიმწოდებელი ითხოვს ვადის გაგრძელებას 30.04.2019-მდე.

სამუშაოს მიწოდების ვადები: 11.05.2018წ – 11.09.2018წ.

9. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბაღდათი-ვანი-დაფნარის საავტომობილო გზის 42-ე კმ-დან ადგილობრივი მნიშვნელობის ნიკურაძეების უბანის მიმართულებით მიმავალი დაახლოებით 2კმ-იანი და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბაღდათი-ვანი-დაფნარის საავტომობილო გზის 43-ე კმ-დან ადგილობრივი მნიშვნელობის გომნატეხების მიმართულებით მიმავალი დაახლოებით 1.2კმ-იანი საავტომობილო გზების მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და მის შესაბამისად სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება - **დასრულებულია**.

ხელშეკრულება №შ.რ. 4-17 (26.06.2017წ.) (CMR170126415).

შესრულებულია 1 149 113.03 ლარის სამუშაოები, სამუშაობის მიღება არ მომხდარა ხარვეზების გამო. სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 5% - 56 714.64 ლარი.

ხარვეზების გამოსწორების ვადა იყო 15.02.1019, მიმწოდებელი ითხოვს ვადის გაგრძელებას 30.04.2019-მდე.

სამუშაოს მიწოდების ვადები: 26.06.2017წ – 15.03.2018წ.

10. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის კმ9-კმ16 მონაკვეთზე დამატებითი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და მის შესაბამისად სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება - **დასრულებულია**.

ხელშეკრულება №შ.რ. 8-17 (06.12.2017) (CMR170206802).

შესრულებულია 1 168 867.26 ლარის სამუშაოები, სამუშაოები მიღებულია.

სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 2,5% - 29 221.68 ლარი, რომელიც არ არის ანაზღაურებული.

სამუშაოების მიღების თარიღი და საგარანტიო ვადა: 30.01.2019წ - 30.01.2021 წ.

11. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის კმ15-კმ16 მონაკვეთის (სავარაუდო სიგრძე 1.7 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და მის შესაბამისად სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება - **დასრულებულია.**

ხელშეკრულება №შ.რ.6-17 (13.07.2017) (CMR170133741).

შესრულებულია 1 198 296.64 ლარის სამუშაოები, სამუშაობი მიღებულია.

სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 2,5% - 29 957.41 ლარი, რომელიც არ არის ანაზღაურებული.

სამუშაოების მიღების თარიღი და საგარანტიო ვადა: 30.01.2019წ - 30.01.2021წ.

12. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის კმ9-კმ15 მონაკვეთის (სავარაუდო სიგრძით 6 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და მის შესაბამისად სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება - **დასრულებულია**.

ხელშეკრულება №შ.რ 1-17 (13.04.2017) (CMR170088883).

შესრულებულია 3 988 497.00 ლარის სამუშაოები, სამუშაოები მიღებულია, სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 2,5% - 99 712.44 ლარი, რომელიც არ არის ანაზღაურებული.

სამუშაოების მიღების თარიღი და გარანტიის ვადა: 26.12.2017წ – 26.12.2019წ.

13. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-ბაწარას ნაკრძალის საავტომობილო გზის კმ15-კმ19 (ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების დუისი და ჯიყოლო) მონაკვეთზე წყლის აცილების მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები – **დასრულებულია**.

ხელშეკრულება №შ.რ. 1-16/90-10 05.08.2016 (CMR160148112).

შესრულებულია 1 436 921.04 ლარის სამუშაოები, სამუშაოები მიღებულია,

ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 2,5% - 35 923.04 ლარი, რომელიც არ არის ანაზღაურებული.

სამუშაოების მიღების თარიღი და გარანტიის ვადა 7.11.2017წ – 7.11.2019წ.

14. ადგილობრივი მნიშვნელობის მესტიის ცენტრი-აეროპორტი-წრნიაშის საავტომობილო გზის კმ1+00-კმ4+00 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – **დასრულებულია**.

ხელშეკრულება № ადგ.რ. 1-16/90-10 (05.08.2016წ.) (CMR160148030).

შესრულებულია 2 025 232.32 ლარის სამუშაოები, მიღებულია, ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 2,5% - 50 630.82 ლარი, რომელიც არ არის ანაზღაურებული.

სამუშაოების მიღების თარიღი და გარანტიის ვადა 7.11.2017წ – 7.11.2019წ.

15. მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე თეთნულდის სათხილამურო კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის დაზიანებული ცალკეული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოები – **დასრულებულია**.

ხელშეკრულება №ს.ტ.3-16 (26.09.2016წ.) (CMR160169103).

შესრულებულია 237 295.94 ლარის სამუშაოები, სამუშაოები მიღებულია.

ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 2,5% - 5 932.40 ლარი, რომელიც არ არის ანაზღაურებული.

სამუშაოების მიღების თარიღი და გარანტიის ვადა 18.10.2017წ – 18.10.2019წ.

16. საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 136-ე კმ-ზე საბაჟო გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ მიმდებარედ მოსალოდნელი სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების პრევენციის მიზნით „საევაკუაციო ნაგებობების“ მოწყობის სამუშაოები – **დასრულებულია**.

ხელშეკრულება № ს.რ. 2-15 24.06.2015 (CMR150126249).

შესრულებულია 1 646 819.58 ლარის სამუშაოები, სამუშაოები მიღებულია, ასანაზღაურებულია საგარანტიო თანხა სამუშაოების ღირებულების 2,5% - 41 170.49 ლარი.

სამუშაოების მიღების თარიღი და გარანტიის ვადა 25.09.2017წ – 25.09.2019წ.

17. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის მე-100 კმ-ში დაზიანებული მიწის ვაკისის ჩაწყვეტის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების სამუშაოები – **დასრულებულია**.

ხელშეკრულება №ს.ტ. 1-15 (15.07.2015წ.) (CMR150136113).

შესრულებულია 820 627.55 ლარის სამუშაოები, სამუშაოები მიღებულია, ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 2,5% - 2 388.74 ლარი.

სამუშაოების მიღების თარიღი და გარანტიის ვადა 12.12.2016წ – 12.12.2017წ.

ამ ეტაპზე მოთხოვნა არ არის დაყენებული.

18. საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდის-ლარსის საავტომობილო გზის (გალერეის ჩათვლით) კმ 94-კმ 95 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - **დასრულებულია**.

ხელშეკრულება №ს.რ. 2-13 (29.07.2013წ) (CMR130118454).

შესრულებულია 3 118 466. 89 ლარის სამუშაოები, სამუშაობის მიღება არ მომხდარა ხარვეზების გამო, ასანაზღაურებულია დაკავებული ხელშეკრულების ღირებულების 5% - 155 923,34 ლარი. ვერ სწორდება სამუშაოს სპეციფიკაციიდან გამომდინარე, გალერიადან ჩამოდის წყალი, რისი აღმოფხვრაც შეუძლებელია, თუ თავიდან არ განხორცელდა სრულად სამუშაოები.

სამუშაოს მიწოდების ვადები: 29.07.2013წ – 30.11.2013წ.

19. საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდის-ლარსის საავტომობილო გზის კმ132-კმ135 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - **დასრულებულია**.

ხელშეკრულება №ს.რ.4-11 (06.09.2011წ) (CMR120018517).

შესრულებულია 4 899 931.18 ლარის სამუშაოები, სამუშაოები მიღებულია.

ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 5% - 71 445.52 ლარი (სამუშაოების ნაწილზე).

სამუშაოს მიწოდების ვადები: 06.09.2011წ – 30.04.2012წ.

20. დარიალის ხეობა (ზემო ლარსი) სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისათვის ზოგიერთი სახის სამუშაოების წარმოება - **დასრულებულია**.

ხელშეკრულება ადგ.რ.7-10 (03.12.2010წ.).

შესრულებულია 142 910.57 ლარის სამუშაოები, სამუშაოები მიღებულია.

ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 2,5% - 3 572.76 ლარი.

სამუშაოს მიწოდების ვადები: 03.12.2010წ – 31.04.2011წ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს კომპანია. ამ ეტაპზე დასრულებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და დამამთავრებელ ფაზაშია შენობის შიდა მოპირკეთება-რემონტი. ამასთან, შენობის ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები დაგეგმილია 2019 წლის აპრილ-მაისში. ამდენად, განკარგულების პროექტით ეთხოვებათ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ა(ა)იპ „რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკას“ შემჭიდროვებულ ვადებში უზრუნველყონ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მშენებარე მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის შენობის მიღება.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

განკარგულების პროექტი არ უკავშირდება ევროკავშირის რომელიმე სამართლებრივ აქტს, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

კომპანია გათავისუფლდეს, 2011-2019 წლებში, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების საფუძველზე, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას დაქვემდებარებული 9 036 031 (ცხრა მილიონ ოცდათექვსმეტი ათას ოცდათერთმეტი) ლარის დაბრუნების ვალდებულებისგან, ხოლო 2019 წლის 1 მაისამდე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მისთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში არაუმეტეს 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარს მოიძიებს და გადაურიცხავს კომპანიისათვის ეტაპობრივად სუბსიდიის სახით ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებული კრედიტორული დავალიანებების დასაფარად.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

განკარგულების პროექტის მიღების შემთხვევაში, შეწყდება მართვის ხელშეკრულება და კომპანია გათავისუფლდება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულის დაბრუნების ვალდებულებისაგან და გამოეყოფა სახსრები კრედიტორული დავალიანებების დასაფარად.

პროექტის განხორციელების ვადები

მართვის ხელშეკრულების შეწყვეტის ვადად განისაზღვრება 2019 წლი 1 მაისი.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

განკარგულების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.